რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში

პანდემიის პირობებში და მის მიღმა

2020-2021 (მაისი)

TDI
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი

რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში

პანდემიის პირობებში და მის მიღმა

2020-2021 (მაისი)

ანგარიში

ტოლერანტობის
და მრავალფეროვნების
ინსტიტუტი (TDI)

2021 წელი

ანგარიში მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

ანგარიში გამოიცა ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და ის შესაძლოა, არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, აღმოსავლეთდასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ან ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) შეხედულებებს.

ანგარიშზე მუშაობდნენ:

მარიამ ღავთაძე, ანზორ ხატიაშვილი, მარიამ ჯიქია, ეკა ჭითანავა

პროექტის ხელმძღვანელი:

მარიამ ღავთაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია, IBDesign

ყდა: SHUTTERSTOCK

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2021

ვებგვერდი: www.tdi.ge

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 6

ანგარიშის შეჯამება და ძირითადი მიგნებები 7

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება კოვიდ 19-ის პანდემიის დროს 10

1.1 სამართლებრივი საკითხები 10

1.2 რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა 11

1.3 რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაადგილების შეზღუდვა 13

1.4 საპატრიარქოს ექსკლუზიური პრივილეგიები რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავად 13

1.5 თანამდებობის პირების საჯარო განცხადებები 16

1.6 კომუნიკაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 16

2. დისკრიმინაცია კანონმდებლობაში და ახალი პრივილეგიები საპატრიარქოსთვის 18

2.1 TDI-ის სტრატეგიული სამართალწარმოება – კონსტიტუციური სარჩელები 18

2.2 საპატრიარქოს მიერ ტყის საკუთრების უფლებით შეძენის ექსკლუზიური უფლება 21

3. არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების ქონებრივი უფლებები 23

3.1 რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი 23

3.2 ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობისას შექმნილი დაბრკოლებები 24

4. რელიგია და განათლება 26

4.1 რელიგიური ნეიტრალობის დაცვის პრობლემა საჯარო სკოლებში 26

4.2 რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 28

5. რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულები და მათზე რეაგირება 30

5.1 იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობა და დევნა 30

5.2 მუსლიმების მიმართ ძალადობა და დევნა 31

5.3 სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხის საქმე 32

6. საეკლესიო ანტისემიტიზმი 34

7. სიძულვილის ენა, ქსენოფობია და დისკრიმინაცია 37

დანართი: რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირების 2020 წლის სტატისტიკა 40

შესავალი

2020 წელი საქართველოში პრობლემური იყო ადამიანის უფლებების დაცვისა და თანასწორობის თვალსაზრისით. კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემია და მისი შედეგები განსაკუთრებულად მწვავედ უმცირესობებზე აისახა. შექმნილმა ვითარებამ რწმენისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის სფეროში არსებული არაერთი სისტემური პრობლემა უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა, უგულებელყო რელიგიურ გაერთიანებებს შორის თანასწორობა და რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობა. პანდემიის ფონზე იმატა სიძულვილის ენამ, რაც განსაკუთრებით მწვავედ ეთნიკურად აზერბაიჯანელი და მუსლიმი მოსახლეობის მიმართ გამოჩნდა.

საანგარიშო პერიოდი პრობლემური იყო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ანტისემიტური განცხადებების კუთხითაც. საპატრიარქომ და ხელისუფლების ოფიციალურმა პირებმა არ დაგმეს ან სათანადოდ არ უპასუხეს მაღალი რანგის სასულიერო პირების ანტისემიტურ გამოსვლებს.

2021 წლის აპრილში სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ ბათუმის მერიის უარი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უკანონო და დისკრიმინაციულია. მიუხედავად ამისა, მუსლიმებს ამ დრომდე არ ეძლევათ ახალი მეჩეთის მშენებლობის შესაძლებლობა და მორწმუნე ადამიანები განაგრძობენ მეჩეთის ასაშენებლად შეძენილ მიწის ნაკვეთზე, ღია ცის ქვეშ ლოცვას.

2020 წელს გამოვლინდა რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევა ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა არ დააკმაყოფილა ებრაელი და ადვენტისტი აბიტურიენტების მოთხოვნა გამოცდაში სხვა დღეს მონაწილეობის შესახებ, რადგან მათ, საკუთარი მრწამსის გამო, არ შეეძლოთ გამოცდაში მონაწილეობა შაბათ დღეს. სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი და პრეცედენტული გადაწყვეტილება – დაავალა გამოცდების ცენტრს განმცხადებელი აბიტურიენტებისთვის გამოცდა სხვა დღეს გადაეტანა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი უფლებების დარღვევის თავიდან აცილება.

კვლავ გამოწვევად რჩება სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა და პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მოქმედი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი, არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების საკუთრებასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები, დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რელიგიური ნეიტრალობის დარღვევა საჯარო სკოლებში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დროული გამოძიება და სხვა.

არადომინანტური რელიგიური ჯგუფები არაერთ სისტემურ პრობლემას აწყდებიან, რომელთა გადაჭრის ნება ხელისუფლებას არ აქვს. ხშირად ამ დაბრკოლებებს ხელისუფლება ხელოვნურად ქმნის. TDI მიიჩნევს, რომ სულ უფრო საგანგაშო ხდება ხელისუფლების დამოკიდებულება რწმენისა და რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების მიმართ. ის ღიად და ინტენსიურად ხელყოფს რელიგიის თავისუფლებას, უგულებელყოფს თანასწორუფლებიანობის პრინციპს და აღრმავებს დისკრიმინაციას რელიგიურ ჯგუფებს შორის, რაც, შესაძლოა, რელიგიური ჯგუფების მიმართ უფრო მეტად ხისტი და რეპრესიული ქმედებების წინაპირობა იყოს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული მდგომარეობის სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტების მიმოხილვა და ანალიზი. ანგარიში მოიცავს 2020 წელს და 2021 წლის ივნისამდე პერიოდს. გაანალიზებულია ის სისტემური პრობლემები, რომლებსაც არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციები უკვე მრავალი წელია აწყდებიან და საანგარიშო პერიოდშიც გადაუჭრელი რჩება.

კოვიდ 19-ის პანდემიის ფონზე, რელიგიის თავისუფლების დაცვის საკითხები კიდევ უფრო მწვავედ გამოვლინდა. ანგარიშში გაანალიზებულია პანდემიისა და ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გავლენა რელიგიისა და რწმენის ფუნდამენტური უფლების დაცვაზე, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთგამიჯვნის პრინციპზე და თანასწორუფლებიანობაზე.

ანგარიშის მომზადების პროცესში ემპირიული მასალის მოპოვებისა და დამუშავებისთვის გამოყენებულია სხვადასხვა კვლევითი ინსტრუმენტი: სამაგიდო კვლევა, საქართველოს კანონმდებლობის, სახელმწიფო დოკუმენტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, სახალხო დამცველის ანგარიშების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისგან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის, TDI-ის მიერ განხორციელებული სამართალწარმოების შედეგებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი. რელიგიის თავისუფლების კუთხით სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა შეფასებულია ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

ანგარიშის შეჯამება
და ძირითადი მიგნებები

- TDI მიიჩნევს, რომ სულ უფრო საგანგაშო ხდება ხელისუფლების დამოკიდებულება რწმენისა და რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების მიმართ. ის ღიად და ინტენსიურად ხელყოფს რელიგიის თავისუფლებას, უგულებელყოფს თანასწორუფლებიანობის პრინციპს და აღრმავებს დისკრიმინაციას რელიგიურ ჯგუფებს შორის.
- კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემია და მისი შედეგები განსაკუთრებულად მწვავედ უმცირესობებზე აისახა. შექმნილმა ვითარებამ რწმენისა და რელიგიის თავისუფლების დაცვის სფეროში არსებული არაერთი სისტემური პრობლემა უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა.
- პანდემიის დროს სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა. რიგ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებულ მოპყრობას, ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ.
- დიფერენცირებულ მიდგომას თან ერთვოდა უმაღლესი თანამდებობის პირების დისკრიმინაციული შინაარსის განცხადებები. განსაკუთრებით საგანგაშო იყო პრემიერ გახარიას და ვიცე-პრემიერ ცქიტიშვილის დისკრიმინაციული და არასეკულარული განცხადებები, რომლითაც მათ პანდემიის დროს საპატრიარქოსთვის მინიჭებული პრივილეგიები და სხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა გაამართლეს.
- კვლავინდებურად პრობლემური დარჩა პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს როლი და საქმიანობა. სააგენტოს, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების და ზოგადად, პანდემიის პერიოდში, არ გაუკეთებია არცერთი განცხადება და არ მოუმზადებია რაიმე დოკუმენტი/რეკომენდაცია კრიზისულ სიტუაციაში რელიგიის თავისუფლების დაცვისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.
- საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ არსებული დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღმოფხვრის საკითხი. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონსა და საგადასახადო კოდექსში არსებულ დისკრიმინაციულ ნორმებზე საკონსტიტუციო სასამართლოში გრძელდება რელიგიური ორგანიზაციების სამი სარჩელის განხილვა.

- ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებას გადაედგა ნაბიჯები რელიგიური ორგანიზაციების მიმართ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, პარლამენტმა 2020 წელს, კოვიდ 19-ის პანდემიის გამო დადგენილი საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს, მიიღო კანონი, რომლითაც მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ახალი პრივილეგია – სახელმწიფო ტყეების საკუთრების უფლებით მიღების უფლება მიანიჭა.
- საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩამორთმეული ისტორიული რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი. შენარჩუნებულია სახელმწიფოს მიერ სხვა რელიგიური გაერთიანებების ისტორიული ქონების მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემის უკანონო პრაქტიკაც.
- 2021 წლის 13 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოაცხადა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმეზე და ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება. ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათუმის მერიის უარი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე არის უკანონო და დისკრიმინაციული.
- მიუხედავად სასამართლოს მიერ მუსლიმების სასარგებლოდ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებისა, მუსლიმი თემი კვლავ ვერ ახერხებს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას. შედეგად, განგრძობადი ხასიათს ატარებს მათ მიმართ საკუთრებისა და რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის უკანონო ხელყოფა.
- პრობლემად რჩება საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალობის დაცვის საკითხი. რელიგიური ნეიტრალობის სავარაუდო დარღვევას ასევე ადგილი ჰქონდა სასწავლო პროცესში „სამშობლომცოდნეობის“ გაკვეთილების ინტეგრირებისას. 2020 წელს გავრცელებული ინფორმაციით, სკოლები მოსწავლეებს „სამშობლოთმცოდნეობის“ ონლაინ გაკვეთილებზე დასწრებას სთავაზობდნენ. გაკვეთილებს კონფესიური ხასიათი აქვს, აგებულია მართლმადიდებლურ რელიგიაზე და დატვირთულია დისკრიმინაციული შეხედულებებით.
- დადებითად უნდა შეფასდეს განათლების სამინისტროს მიერ ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირების პროცესში ადამიანის უფლებების ექსპერტების ჩართვა. 2020 წელს შეფასდა და დამტკიცდა მე-8 კლასის სახელმძღვანელოები; 2021 წელს კი გრძელდება მე-9 კლასის სახელმძღვანელოების რეცენზირება.
- 2020 წელს დაირღვა იმ აბიტურიენტების უფლებები, რომლებიც საკუთარი რელიგიური რწმენის გამო ვერ შეძლებდნენ გამოცდაში მონაწილეობას შაბათ დღეს. გამოცდებისა და შეფასების ეროვნულმა ცენტრმა მათ უარი უთხრა სხვა დღეს დანიშნულ გამოცდაზე დასწრებაზე. TDI-ს მიმართვის საფუძველზე, სასამართლომ მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება და გამოცდების ცენტრს კონკრეტული აბიტურიენტებისთვის გამოცდის სხვა დღეს გადატანა დაავალა.
- წინა წლების მსგავსად, რელიგიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, იეჰოვას მოწმეების უფლებების დარღვევის, დევნისა და ძალადობის ფაქტებზე გამოძიების გაჭიანურების, პროკურატურის მიერ პირის დაზარალებულად ცნობისა და ბრალის წარდგენის პრობლემა.
- სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობამ და დანაშაულების ეფექტიან გამოძიებაზე უარის თქმამ წაახალისა მუსლიმების მიმართ დევნა და ამგვარი დანაშაულები განგრძობადი და გან-

მეორებადი გახადა. შედეგად, 2021 წლის იანვარში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში მუსლიმების დევნის ახალი კერა გაჩნდა.

- თვალსაჩინო იყო ქვემო ქართლში ეთნიკური აზერბაიჯანელი და მუსლიმი მოქალაქეების მიმართ ქსენოფობიური დამოკიდებულება. საქართველოში კოვიდ 19-ის პანდემიის გავრცელებისთანავე ხელისუფლებამ განსაკუთრებულად მკაცრი ზომები სწორედ აღნიშნულ რეგიონში გაატარა. ადგილი ჰქონდა ადგილობრივი ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების მიმართ ხისტ საპოლიციო მოქმედებებს და ქსენოფობიურ განცხადებებს. განსაკუთრებული აქტიურობით მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გამოირჩეოდა, რომელიც მუდმივად აღვივებდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით შუღლს. მას მხარს ქსენოფობიური ჯგუფი, ქართული მარშიც უჭერდა.
- მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების მხრიდან შემაშფოთებლად იმატა ანტისემიტური განცხადებების გაჟღერების შემთხვევებმა. პარალელურად, სოციალურ ქსელებში არაერთი ანტისემიტური შინაარსის კომენტარი გაჩნდა. არც ეკლესიას და არც სახელმწიფოს არ გაუკეთებიათ ანტისემიტიზმის კონკრეტული შემთხვევების კრიტიკული შეფასება.

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება კოვიდ 19-ის პანდემიის დროს

1.1. სამართლებრივი საკითხები

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური და განუყოფელი უფლებაა, რომელიც დაცულია როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობით. ის მოიცავს ინდივიდუალურ, კოლექტიურ, ინსტიტუციურ, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო განზომილებებს. აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება იმ უფლებების კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაგანაც გადახვევა დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის არსებობის დროსაც კი.[1] სახელმწიფო ვალდებულია განუხრელად და მიუკერძოებლად დაიცვას ადამიანის რწმენისა და რელიგიის თავისუფლება. ასევე დაუშვებელია რელიგიური ჯგუფების ინსტიტუციური მახასიათებლების ან რაიმე ნიშნით დაყოფა, მაგალითად ტრადიციულ და არატრადიციულ, მცირე და დიდ, ძველ და ახალ ჯგუფებად.[2]

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2020 წლის 21 მარტს გამოცემული დეკრეტით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და ორი თვით შეიზღუდა კონსტიტუციით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები და თავისუფლებები. კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ უფლებების და თავისუფლებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც პრეზიდენტის დეკრეტით შეიძლება შეიზღუდოს საგანგებო მდგომარეობის დროს.[3] ამ უფლებების ჩამონათვალში არ არის რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. შესაბამისად, დაუშვებელია რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში.

მაშინ, როდესაც საგანგებო მდგომარეობით შეზღუდვა გავრცელდა შეკრების თავისუფლებაზე,[4] გაჩნდა კითხვა, თუ რამდენად შეეძლო ხელისუფლებას, გამოცხადებული საგანგებო მდგომარე-

[1] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 4(2); საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71(4).

[2] CCPR General Comment No.22, para. 2.

[3] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 71.

[4] მაგალითად, პირველ ეტაპზე, 2020 წლის 23 მარტიდან, აიკრძალა საჯარო სივრცეში 10 ადამიანზე მეტის შეკრება, ხოლო 31 მარტიდან ეს წესი გამკაცრდა და დასაშვები გახდა არაუმეტეს 3 პირის თავშეყრა.

ობის ფარგლებში, შეეზღუდა რელიგიური მსახურება. თუმცა, ამ კითხვაზე საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი. ხელისუფლებას არც ერთ ეტაპზე არ განუმარტავს, კონკრეტულად რა იზღუდებოდა რელიგიური ორგანიზაციებისთვის და რა არა.

რელიგიური საქმიანობა, რიტუალების შესრულება, მსახურება და ა.შ. რწმენისა და რელიგიის თავისუფლების გარეგანი განზომილებაა (forum externum) და არის რელიგიის თავისუფლების ნაწილი.[5] რელიგიური მსახურება და კოლექტიური რიტუალები, როგორც რელიგიის თავისუფლების განუყოფელი ნაწილი, არ ექცევა კლასიკური შინაარსით შეკრების ცნებაში.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაუშვებელია რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვა, ხოლო, მეორე მხრივ, ეპიდემიური სიტუაციის პირობებში, შესაძლოა, დადგეს ამ უფლების დროებითი შეზღუდვის საჭიროება, სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში და მოახდინოს ეპიდემიის გავრცელების პრევენცია. ამის ერთ-ერთი საშუალება არის შესაბამისი ღონისძიებების გატარება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ფარგლებში, რომელიც ყველა პირს უკრძალავს ისეთ საქმიანობას, რაც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საქართველოს ხელისუფლებას არ შეუმუშავებია სპეციალური რეგულაციები და/ან რეკომენდაციები რელიგიური ორგანიზაციებისთვის. შესაბამისად, ბუნდოვანია, რა სამართლებრივი საფუძვლით მიანიჭა სახელმწიფომ მართლმადიდებელ ეკლესიას პანდემიის პერიოდში რელიგიური საქმიანობის განხორციელების უფლება და, მეორე მხრივ, რა საფუძვლით შეუზღუდა აღნიშნული უფლება სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ხელისუფლება მოქმედებდა კანონმდებლობის გვერდის ავლით, სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებისა და რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტური უფლების უხეში უგულვებელყოფით.

1.2. რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობა

პანდემიის პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მიდგომა რელიგიის თავისუფლებისადმი არაერთგვაროვანი იყო. რიგ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებულ მოპყრობას, ერთი მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ.

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, კორონავირუსის პანდემიამ გავლენა იქონია რწმენისა და რელიგიის გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიურ საქმიანობაზე საქართველოში, შეაფერხა

[5] CCPR General Comment No.22, para. 4.

ადამიანებისა და ჯგუფების მიერ რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა, სამლოცველო ადგილებში შეკრება, რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, სოციალური საქმიანობა და სხვა. მიუხედავად ამისა, რელიგიური გაერთიანებების აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაითვალისწინა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში გაცემული დირექტივები და რეკომენდაციები და შეცვალა რელიგიური მსახურების ფორმები. გამონაკლისი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც იმთავითვე უარი განაცხადა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დირექტივების შესრულებაზე და საქმიანობის ფორმების ცვლილებებზე.

მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი 2020 წლის 20 მარტს შეიკრიბა და გადაწყვიტა, გაეგრძელებინა რელიგიური მსახურება ტაძრებში, ისევე, როგორც უცვლელად დატოვა ზიარების წესი საერთო კოვზით.[6] მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსგან განსხვავებით, სხვა რელიგიური ორგანიზაციების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ნებაყოფლობით გადაწყვიტა უსაფრთხოების ნორმების შემოღება: მათ შეაჩერეს რელიგიური შეკრებები, შემოიღეს კომუნიკაციისა და მსახურების ონლაინ ფორმები, შეცვალეს ზიარების წესი და ა.შ.

მაგალითად, 2020 წლის საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც მუსლიმებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს, რამადანის თვეს დაემთხვა, საქართველოში მუსლიმებმა მთლიანად შეწყვიტეს მეჩეთში შეკრებები, მათ შორის, პარასკევს კოლექტიური ლოცვები.[7]

ხელისუფლება არც ერთ ეტაპზე არ განმარტავდა თუ კონკრეტულად რა იზღუდებოდა რელიგიური ორგანიზაციებისთვის და რა არა, რათა ყველასთვის ნათელი ყოფილიყო საკითხი. რადგანაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს აცხადებდა რელიგიური შეკრებების წესის შეცვლაზე, ხელისუფლების დუმილი, სავარაუდოდ, ეკლესიისთვის კომპრომისის გაწევაზე მიანიშნებდა.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების და ზოგადად, პანდემიის პერიოდში, განმარტება არც პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო საგენტოს გაუკეთებია, მიუხედავ იმისა, რომ მისი მანდატი რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავებაა. 2020 წლის 10 ნოემბრის წერილში სააგენტომ აღნიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში რელიგიური მსახურება არ იზღუდებოდა, თუმცა შეზღუდვა ეხებოდა ყველა სახის შეკრებასა და საჯარო სივრცეში თავშეყრას; რელიგიურ გაერთიანებებზე ვრცელდებოდა შეკრებისა და საჯარო სივრცეში თავშეყრის შეზღუდვა.[8] სააგენტომ პასუხი ვერ გასცა კითხვას, რატომ არ გავრცელდა ხელისუფლების აღნიშნული მიდგომა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე.

---

[6] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის 2020 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება

[7] საქართველოს მუსლიმთა სამმართველო ყველა სახის კოლექტიურ ლოცვას აჩერებს, ნეტგაზეთი, 2020 წლის 20 მარტი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3i55JEj

[8] სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2020 წლის 10 ნოემბერის #1/952 წერილი

1.3. რელიგიური ორგანიზაციებისთვის გადაადგილების შეზღუდვა

2020 წლის 17 აპრილიდან 27 აპრილამდე საქართველოში აკრძალული იყო ავტომობილით გადაადგილებაც. აღნიშნული შეზღუდვის საფუძვლად საქართველოს მთავრობამ აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით მოსახლეობის მაღალი მობილობის რისკი დაასახელა. ეს აკრძალვა მთავრობამ მხოლოდ ერთი დღით ადრე, 16 აპრილს გამოაცხადა. 17 აპრილს, მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ მათ არ შეუთანხმა აღნიშნული აკრძალვა, მაგრამ მთავრობასთან სატელეფონო საუბრით გაარკვიეს, რომ ეკლესიის სასულიერო პირებს, მგალობლებს და სტიქაროსნებს მიეცემათ ავტომობილით გადაადგილების უფლება.[9]

მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსგან განსხვავებით, სხვა რელიგიური ორგანიზაციების სასულიერო პირებისთვის მთავრობას მსგავსი შეღავათი არ გამოუცხადებია. მათ რამდენიმედღიანი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ინდივიდუალურად მოეპოვებინათ ლიმიტირებული რაოდენობის ავტომობილით გადაადგილების სპეციალური საშვები. განსაკუთრებული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ის რელიგიური გაერთიანებები, რომლებიც ეწევიან უწყვეტ სოციალურ საქმიანობას (აქვთ თავშესაფრები, სასადილოები, საკვებითა და სამედიცინო სერვისებით ეხმარებიან ადამიანებს და სხვა).

მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, არადომინანტურ რელიგიურ ჯგუფებზე საშვები ლიმიტირებულად გაიცა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განმარტებით, უწყებამ უშუამდგომლა 14 რელიგიურ გაერთიანებას ჯამში 228 საავტომობილო საშვის მისაღებად. ამ რელიგიური გაერთიანებებიდან, ექვსმა მიიღო თითო საშვი, ექვსმა ორ-ორი, ერთმა - 13, ხოლო ერთმა 197. სააგენტო აღნიშნავს, რომ საშვის მისაღებად არადომინანტური რელიგიური გაერთიანებებისთვის არ არსებობდა ლიმიტი და დახმარება მიიღო ყველა მსურველმა,[10] თუმცა, TDI-ს მიერ გამოკითხული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ არ მისცეს საჭირო რაოდენობის საშვები და ხშირ შემთხვევაში, რელიგიურ გაერთიანებაზე მხოლოდ ერთ საშვს გამოყოფდნენ.

1.4. საპატრიარქოს ექსკლუზიური პრივილეგიები რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავად

მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდი 2020 წლის 20 მარტს შეიკრიბა და გადაწყვიტა, გაეგრძელებინა რელიგიური მსახურება ტაძრებში, ისევე, როგორც უცვლელად დატოვა ზიარების წესი საერთო კოვზით.[11] საგანგებო განხილვა მოჰყვა აღდგომის დღეს (19 აპრილს) ტაძრებში შეკრების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა იყო და კომენდანტის

[9] სასულიერო პირებს მანქანით გადაადგილება არ ეკრძალებათ, ნეტგაზეთი, 2020 წლის 17 აპრილი, ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/444219/

[10] სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2020 წლის 10 ნოემბერის #1/952 წერილი

[11] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის 2020 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება

საათი მოქმედებდა საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე, საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეჩერდა და ნებისმიერი ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება აიკრძალა, ეკლესიამ მაინც გადაწყვიტა აღდგომის წინა დღეს შეკრება მოეწყო და მსახურებები განაგრძო ტაძრებში. ეკლესიამ მრევლს შესთავაზა ტაძრებში მისვლა საღამოს 9 საათამდე, კომენდანტის საათის ამოქმედებამდე. საპატრიარქოს მიერ გათვალისწინებული უსაფრთხოების ერთადერთი ზომა შეკრებილ მრევლს შორის ორი მეტრის დისტანციის დაცვა იყო. მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსმა და მღვდელმა გადაწყვიტა აღდგომის მსახურება ღამით არ ჩაეტარებინა მრევლის მონაწილეობით.

საჯარო პირების გამოსვლებში, როგორც აღმასრულებელი ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები,[12] აკეთებდნენ არათანმიმდევრულ და ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს.[13] ხელისუფლებამ და მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ კულუარული მოლაპარაკებები გამართეს და შეთანხმდნენ, რომ აღდგომის ღამეს მრევლს შეეძლებოდა ეკლესიებში ყოფნა. ამისათვის ისინი კომენდანტის საათის ამოქმედებამდე – 21 საათამდე უნდა მისულიყვნენ ეკლესიებში.[14] საპატრიარქოსთან მოლაპარაკებების პარალელურად, ხელისუფლებას არ ჰქონია კომუნიკაცია სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან. მათ არც ერთ ეტაპზე არ განემარტათ, თუ როგორ უნდა ემოქმედათ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეყანაში ახალი შეზღუდვები დაწესდა 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით. აიკრძალა 21:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილება როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე საჯარო სივრცეში ყოფნა. გამონაკლისად კი დაწესდა ახალი წლის ღამე (31 დეკემბრის ღამე) და შობის ღამე (6 იანვრის ღამე).

მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამონაკლისის დაწესება შობის აღსანიშნავად, რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციაა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პერიოდი ემთხვევა არაერთი რელიგიური გაერთიანების უმნიშვნელოვანეს დღესასწაულს, მათ შორის 25 დეკემბერს – როდესაც ქრისტიანული ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა შობის დღესასწაულს აღნიშნავს.

მას შემდეგ, რაც კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა საკოორდინაციო საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მთავრობამ დამატებით განაცხადა, „სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ ყველა რელიგიის და კონფესიის წარმომადგენელმა თავისუფლად შეძლოს რელიგიური დღესასწაულის აღნიშვნაში მონაწილეობა. შესაბამისი კონფესიები რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენ-

[12] საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მართლმადიდებელი ეკლესიის შეკრებებთან დაკავშირებით 21 მარტს ჟურნალისტების კითხვას უპასუხა და განაცხადა: „როგორც დეკრეტის ტექსტი ამბობს, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება არ არის შეზღუდული. შესაბამისად, ამ მომენტისთვის რიტუალში მონაწილეობა ამ უფლების ნაწილია“.

[13] ვიცე-პრემიერის, მაია ცქიტიშვილის განცხადება, ნეტგაზეთი, 2020 წლის 3 აპრილი. ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/440326/

[14] „კომენდანტის საათის მიუხედავად სააღდგომო ლიტურგია მაინც ჩატარდება“, Civi.ge, 2020 წლის 15 აპრილი. ხელმისაწვდომია – https://civil.ge/ka/archives/347082

ტოს წარუდგენენ მრევლის და მღვდელთმსახურთა სიებს, რომელთა საფუძველზეც ოპერაციული შტაბის მიერ გაიცემა გადაადგილების ერთჯერადი ნებართვა.[15]

მსგავსი მიდგომა პრობლემურია რამდენიმე გარემოების გამო. უპირველეს ყოვლისა, ის უთანასწორო, დისკრიმინაციულ წესს ადგენს, ერთი მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და მეორე მხრივ, დანარჩენი რელიგიური გაერთიანებებისთვის, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით დადგენილ თანასწორობის პრინციპს. გარდა ამისა, მოთხოვნა, რომ რელიგიურმა გაერთიანებებმა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს უნდა წარუდგინონ მრევლისა და სასულიერო პირების სია ერთჯერადი საშვების მისაღებად, აჩენს სახელმწიფოს მიერ კონკრეტული რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირებისა და მრევლის შესახებ პერსონალური ინფორმაციის არამიზნობრივად შეგროვების მაღალ რისკს.

არადომინანტურმა რელიგიურმა გაერთიანებებმა მთავრობის გადაწყვეტილება შობის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით დისკრიმინაციად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ უმცირესობაში ყოფნა არ შეიძლება იყოს დაკნინებისა და უთანასწორო მოპყრობის საფუძველი.[16]

დიფერენცირებული მოპყრობა შენარჩუნდა 2021 წელსაც. ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა ექსკლუზიური პრივილეგიების მინიჭებას მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და ინარჩუნებდა დისკრიმინაციულ პოლიტიკას სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ.

2021 წელს აღდგომის დღესასწაული ქრისტიანული ეკლესიების ნაწილმა[17] 4 აპრილს აღნიშნა. ხელისუფლებამ კვლავ უგულებელყო რელიგიური გაერთიანებების და მრევლის ინტერესი და არ დაუშვა გამონაკლისი ღამის საათებში გადაადგილების შეზღუდვის მოხსნაზე. შესაბამისად, 4 აპრილს, რელიგიურ ორგანიზაციებს სააღდგომო მსახურების ჩატარება დღის საათებში მოუხდათ.

განსხვავებული წესი მოქმედებდა 2 მაისს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავდა აღდგომის დღესასწაულს. მთავრობის გადაწყვეტილებით, სააღდგომო ლიტურგიასთან დაკავშირებით, გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა 1 მაისის 23:00 საათიდან 2 მაისის 04:00 საათამდე მოქმედებდა, ნაცვლად არსებული 21:00-დან 05:00 საათამდე პერიოდისა. გარდა ამისა, ეკლესიებში ღამის მსახურებაზე მისულ მრევლს არავითარი წინააღმდეგობა არ შექმნიათ, გადაადგილების აკრძალვის საათები საჯარო სივრცეებში გაეტარებინათ.

---

15 მთავრობამ აღნიშნული განმარტება ვებგვერდ stopcov.ge-ს ხშირად დასმული კითხვების სექციაში გააკეთა, ხელმისაწვდომია – https://stopcov.ge/ka/Restrictions

16 რელიგიური ორგანიზაციების განცხადება, ტაბულა, 1.12.2020, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3fE7wPf

17 კათოლიკე, სომეხთა სამოციქულო, ევანგელურ-ლუთერული და ზოგიერთი პროტესტანტული ეკლესია 2021 წელს აღდგომის დღესასწაულს 4 აპრილს აღნიშნავდა.

1.5. თანამდებობის პირების საჯარო განცხადებები

დიფერენცირებულ მიდგომას თან ერთვოდა უმაღლესი თანამდებობის პირების დისკრიმინაციული შინაარსის განცხადებები. 2020 წელს, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ ეკლესიები არ დაიხურება, რადგან საქართველო „მართლმადიდებლური სახელმწიფოა".[18] პრემიერის აღნიშნული განცხადება ნათლად ავლენს მთავრობის პრეფერენციულ დამოკიდებულებას მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. მსგავსი მიდგომა კი ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობისა და თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს; გარდა ამისა, უგულებელყოფს სეკულარული სახელმწიფოს იდეას – რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის ფუნდამენტურ პრინციპს.[19]

მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაადგილების შეზღუდვაზე გამონაკლისის დაწესება იმუამინდელმა ვიცე-პრემიერმა მაია ცქიტიშვილმა იმით ახსნა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია.[20] აღნიშნული განცხადებაც არაინკლუზიური და დისკრიმინაციული შინაარსისაა, რადგან მოქალაქეების მიერ ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას უმრავლესობის პერსპექტივიდან აფასებს, ხოლო უმცირესობებს უთანასწორო პირობებს უწესებს.[21]

1.6. კომუნიკაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პანდემიასთან დაკავშირებულ კრიზისულ სიტუაციაში სრულყოფილი, კვალიფიციური და უწყვეტი ინფორმაციის ქონა განაპირობებს დაავადების გავრცელების რისკების შემცირებას. თავისი სპეციფიკიდან, საკითხის სენსიტიურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახელმწიფო და ჯანდაცვის უწყებებს უნდა ჰქონდეთ რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციალური მიდგომა.

კორონავირუსის პანდემიის დროს საქართველოში გამოცემული რეგულაციები არ მოიცავდა ინფორმაციას, როგორ უნდა ემოქმედათ კონკრეტულად რელიგიურ ორგანიზაციებს. რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით სპეციალური დირექტივებისა და რეკომენდაციების არქონამ და მრავალი საკითხის ბუნდოვნად დატოვებამ გამოიწვია სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, როგორც დაწესებული შეზღუდვების სამართლებრივ ნაწილთან, ისე ეპიდემიოლოგიურ-სანიტარული წესების დაცვასთან დაკავშირებით.

---

18 პრემიერ-მინისტრის განცხადება, ნეტგაზეთი, 14.04.2020. ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/443277/

19 პრემიერის განცხადების შეფასება, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 15.04.2020, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3c3Epmf

20 ვიცე-პრემიერის განცხადება, 27.11.2020. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2RbFt0b

21 რელიგიური ორგანიზაციების განცხადება, ტაბულა, 1.12.2020. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2ToAGZQ

ინფორმაციის მიღებისა და კომუნიკაციის პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა 2020 წელს საგანგებო მდგომარეობის გაუქმების ეტაპზე. რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაციის არარსებობამ გააჩინა ახალი კითხვები. კერძოდ, კითხვაზე, როდის და რა ფორმით იქნებოდა შესაძლებელი რელიგიური შეკრებების განახლება, ასევე არ არსებობდა პასუხები.

საქართველოს მთავრობის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც 2020 წელს COVID 19-ის წინააღმდეგ მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს შეეხება, აღნიშნულია, რომ კრიზისის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა საბჭოს ეგიდით რეგულარულად იმართებოდა დახურული და ღია (დისტანციური) შეხვედრები რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან.[22] თუმცა, TDI-ს არც ერთი რელიგიური ორგანიზაცია არ უდასტურებს კორონავირუსთან დაკავშირებით მთავრობის ადამიანის უფლებათა საბჭოს ეგიდით გამართულ შეხვედრებში მიწვევისა და მონაწილეობის ფაქტს. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო კი აღნიშნავს, რომ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში ჩართული იყო რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ხოლო საბჭოს შეხვედრებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს სააგენტო აცნობდა საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციებს.[23] სააგენტოს არ წარმოუდგენია საგანგებო მდგომარეობის პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისთვის გაზიარებული ინფორმაციის ასლები. გამოკითხული რელიგიური ორგანიზაციები კი აღნიშნავენ, რომ მათ არ მიუღიათ ოფიციალური ინფორმაცია, რელიგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით რა ტიპის შეზღუდვები და რეგულაციები ვრცელდებოდა.

მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებებმა შეიმუშავეს ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები რელიგიური ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მიმართულია დაავადების გავრცელების რისკების შემცირებისკენ და ითვალისწინებს სახელმწიფოს, საზოგადოების და რელიგიური გაერთიანებების საჭიროებებს.[24] მნიშვნელოვანია, რომ საქართველოშიც ხელისუფლებას ჰქონდეს გამჭვირვალე და მუდმივი კომუნიკაცია ყველა რელიგიურ ორგანიზაციასთან, რათა თავიდან იყოს აცილებული დისკრიმინაცია და დაცული იყოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლება.

[22] საქართველოს მთავრობის ანგარიში COVID 19-ის წინააღმდეგ მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, პარ.2.6. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2RaWDLf

[23] სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2020 წლის 28 სექტემბრის N1/837 წერილი

[24] მაგალითისთვის, იხ. აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრების (CDC) რეკომენდაციები რელიგიური გაერთიანებებისთვის, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3yQCCuz

2. დისკრიმინაცია კანონმდებლობაში და ახალი პრივილეგიები საქართველოს საპატრიარქოსთვის

2.1. TDI-ის სტრატეგიული სამართალწარმოება – კონსტიტუციური სარჩელები

საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ არსებული დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღმოფხვრის საკითხი. არსებული საკანონმდებლო უთანასწორობა განსაკუთრებულად მკაფიოდ სახელმწიფო ქონების კანონსა და საგადასახადო კოდექსში ჩანს, რომლებიც ექსკლუზიურ პრივილეგიებს ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.[25]

2018 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა რელიგიური გაერთიანებების ორი მნიშვნელოვანი სარჩელი საგადასახადო უთანასწორობისა და სახელმწიფო ქონების კანონის დისკრიმინაციული დებულებების შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის ნორმები, რომლებიც მხოლოდ საპატრიარქოსთვის უშვებდა სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესაძლებლობას, დისკრიმინაციულია;[26] ასევე დაადგინა, რომ საგადასახადო კოდექსი დისკრიმინაციულად არეგულირებს რელიგიური ორგანიზაციების მიერ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლებას.[27]

2018 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული როლი ვერ იქნება სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დისკრიმინაციის საფუძველი: „დიფერენცირება და ეკლესიისთვის სამართლებრივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის და არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის მიზანი. [...] ეკლესიისთვის გარკვეული უფლების მინიჭება არ გულისხმობს იმავე უფლებით სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ სარგებლობის ხელშეშლას“.

[25] დეტალური ინფორმაცია კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილებების შესახებ იხილეთ TDI-ს რელიგიის თავისუფლების ანგარიშში, გვერდი 84. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3fZUrjg

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, N1/1/811 ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1178

[27] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/671, 3 ივლისი 2018, ხელმისაწვდომია: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=924

საკონსტიტუციო სასამართლოს ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისა და პრინციპული პოზიციის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას არ მიუღია არავითარი ზომები საკანონმდებლო ცვლილებების განსახორციელებლად და რელიგიური გაერთიანებების თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად.

TDI განაგრძობს სტრატეგიულ სამართალწარმოებას კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით. საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოში სამი სარჩელის განხილვა გრძელდება:

► კონსტიტუციური სარჩელი რელიგიური ორგანიზაციების ქონების გადასახადზე

2020 წლის 30 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო[28] ცხრა რელიგიური ორგანიზაციის კიდევ ერთი კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც საგადასახადო კოდექსით დადგენილ ქონების გადასახადის დისკრიმინაციულ შინაარსს ეხება.[29]

კონსტიტუციური სარჩელით, რელიგიური ორგანიზაციები ითხოვენ საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის საფუძველზეც არაეკონომიკური მიზნით გამოყენებულ მიწაზე ქონების გადასახადისგან მხოლოდ ერთი რელიგიური გაერთიანება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის გათავისუფლებული. მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ მსგავსი მიდგომა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას ეწინააღმდეგება.

კერძოდ, გასაჩივრებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებს არ ათავისუფლებს მიწის გადასახადისგან, მიწის არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენების შემთხვევაში, განსხვავებით საქართველოს საპატრიარქოსგან, რომელიც გათავისუფლებულია გადასახადისგან საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელის არსებითად განხილვა არ დაუნიშნავს. საქმის წარმოება გრძელდება.

---

[28] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის საოქმო ჩანაწერი სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ. კონსტიტუციური სარჩელი №1422. ხელმისაწვდომია – https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9133

[29] რელიგიურმა ორგანიზაციებმა საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით 2019 წლის 7 მაისს მიმართეს. მოსარჩელეთა ინტერესებს ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საკონსტიტუციო სამართლის კლინიკა იცავენ.

► კონსტიტუციური სარჩელი რელიგიური ორგანიზაციების იმპორტის გადასახადზე

2021 წლის 16 აპრილს, ცხრა რელიგიურმა ორგანიზაციამ მორიგი კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს[30] და მოითხოვა საგადასახადო კოდექსის იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც რელიგიურ ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, არ ათავისუფლებს იმპორტის გადასახადისგან საღვთისმსახურო პროდუქციის შემოტანის დროს.[31]

მოსარჩელე რელიგიურ გაერთიანებებს აქვთ ინტერესი, რომ სხვა ქვეყნიდან საქართველოში შემოიტანონ რელიგიური დანიშნულების ნივთები დღგ-ს და იმპორტის გადასახადის გადახდის გარეშე. სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით, ეკლესია სრულად თავისუფლდება გადასახადებისგან საღვთისმსახურო პროდუქციის საქართველოში შემოტანისას (იმპორტი). საგადასახადო კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს შემთხვევას, როდესაც წარმოიშობა დღგ-ს გადახდის ვალდებულება იმპორტის დროს, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციების მიერ რელიგიური დანიშნულების პროდუქციის შემოტანისას. ამგვარად, სადავო ნორმა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით და ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებული თანასწორობის უფლება.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს არ დაუწყია სარჩელის განხილვა. საქმეზე წარმოება გრძელდება.

► კონსტიტუციური სარჩელი რელიგიური ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ქონების შეძენაზე

საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაშია ცხრა რელიგიური ორგანიზაციის კიდევ ერთი კონსტიტუციური სარჩელი,[32] რომლითაც მოსარჩელეები ითხოვენ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმების იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ზღუდავს რელიგიური ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის ან გაცვლის უფლებას.[33]

აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამარათლოს რელიგიურმა ორგანიზაციებმა 2019 წლის აგვისტოში მიმართეს. სარჩელში დასმულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 პუნქტების იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუცი-

---

30 კონსტიტუციური სარჩელი N1593, ხელმისაწვდომია – https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11126

31 მოსარჩელე რელიგიური გაერთიანებების ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) იცავს

32 ცხრა რელიგიური გაერთიანების კონსტიტუციური სარჩელი N 1440, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1410

33 მოსარჩელეების ინტერესებს სასამართლოში იცავენ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის კლინიკა

ურად ცნობის საკითხი, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს. დასახელებული ნორმები რელიგიურ ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, არამართლზომიერად უზღუდავს სახელმწიფოსგან ქონების შეძენის ან გაცვლის შესაძლებლობას.

სახელმწიფო ქონების კანონის დისკრიმინაციული ნორმები არადომინანტურ რელიგიურ გაერთიანებებს აცლის საკუთრების უფლებას: ისინი ვერც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების შეძენას და ვერც საკუთარი ისტორიული ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციას ახერხებენ. მსგავსი მიდგომა ამ რელიგიურ ორგანიზაციებს განსაკუთრებულად მოწყვლადს ხდის, ზრდის სახელმწიფოს მიერ მათზე კონტროლის რისკებს, ლახავს რწმენისა და რელიგიის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას და მართლმადიდებელ ეკლესიასთან შედარებით, უთანასწორო პირობებში ამყოფებს.

აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელზე 2020 წლის 20 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლოში გამწესრიგებელი სხდომა გაიმართა. სასამართლომ იმსჯელა საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხზე, თუმცა, სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია. სასამართლოში საქმის წარმოება გრძელდება.

2.2. საპატრიარქოს მიერ ტყის საკუთრების უფლებით შეძენის ექსკლუზიური უფლება

ნაცვლად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოს გადაედგა ნაბიჯები რელიგიური ორგანიზაციების მიმართ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, პარლამენტმა 2020 წელს, კოვიდ 19-ის პანდემიის გამო დადგენილი საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს, მიიღო კანონი, რომლითაც მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ახალი პრივილეგია მიანიჭა. კერძოდ, ცვლილებები შევიდა ტყის კოდექსსა და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში, რომლითაც შესაძლებელი გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საქართველოს ტყეების საკუთრებაში გადაცემა.[34]

ტყის კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ტყის ფართობის საკუთრებაში გადაცემა ხდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის ახალი რედაქციით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს კანონში ცვლილებების ამოქმედებამდე არსებული მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტყის ფართობი (არაუმეტეს 20 ჰექტარი თითოეულის შემთხვევაში) და ასევე, საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული, მიჩენილი ტერიტორიები. მიჩენილ ტერიტორიაში იგულისხმება ტყის ფართობი, რომლის მესაკუთრე არის სახელმწიფო, თუმცა საერთო მართვის უფლებამოსილება აქვს საქართველოს საპატრიარქოსთან ერთად. შესაბამი-

[34] TDI-ის განცხადება საპატრიარქოსთვის ტყეების გადაცემის შესახებ, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3g2wckP

სად, საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, საპატრიარქოს შეიძლება საკუთრებაში გადაეცეს როგორც ახალი, ასევე აქამდე მიჩენილი ტერიტორიები.

პარლამენტმა აღნიშნულ ცვლილებებს პირველი მოსმენით მხარი 2019 წლის ოქტომბერში დაუჭირა. მეორე და მესამე მოსმენა კი კოვიდ პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში გაიმართა: 2020 წლის 19 მარტს პარლამენტმა პროექტს მეორე მოსმენით დაუჭირა მხარი, ხოლო საბოლოო, მესამე მოსმენით ცვლილებები 2020 წლის 22 მაისს დაამტკიცა. ცვლილებები ძალაში 2021 წლის 1 იანვრიდან შევიდა.

მსგავსი უფლება სხვა არცერთი სუბიექტისთვის არ არის განსაზღვრული. ტყეების პრივატიზაცია კანონმდებლობით ზოგადად დაუშვებელია, თუმცა მიღებული ცვლილებებით საპატრიარქო გახდა სწორედ ის ერთადერთი ინსტიტუცია, რომელსაც მიენიჭა სახელმწიფო ტყეების საკუთრებაში ქონის უფლება.

მაშინ, როდესაც სახელმწიფო არავითარ ნაბიჯს არ დგამს რელიგიური უმცირესობების მიმართ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ხელისუფლებამ კიდევ ერთი ქონებრივი პრივილეგია მიანიჭა მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო ქონების კანონის იმ მუხლის (მე-3 მუხლი) ცვლილებას, რომლითაც აღნიშნული პრივილეგია განისაზღვრა საპატრიარქოსთვის, წლებია ითხოვენ არადომინანტური რელიგიური ჯგუფები და მის დისკრიმინაციულ შინაარსზე საკონსტიტუციო სასამართლოშიც დაობენ. ამის მიუხედავად, სახელმწიფო კვლავ ღიად ავლენს საპატრიარქოს მიმართ არასეკულარულ და ლოიალურ დამოკიდებულებას და, მეორე მხრივ, უგულებელყოფს სხვა რელიგიური ჯგუფების სამართლიან მოთხოვნას.

3. არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები

3.1. რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი[35]

საანგარიშო პერიოდში კვლავ გადაუჭრელი დარჩა არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ისტორიული რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი, რომლებიც მათ საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩამოერთვათ. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო ქონების რესტიტუცია, სხვა კონფესიებს კი ჩამორთმეული ქონების დიდი ნაწილი ამ დრომდე არ დაბრუნებიათ.

სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით, სახელმწიფომ აღიარა საბჭოთა რეჟიმის მიერ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივმა მფლობელმა, იკისრა ვალდებულება, ეკლესიას ნაწილობრივ აუნაზღაუროს მატერიალური ზარალი. დამატებით, 2002 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველწლიურად აფინანსებს საქართველოს საპატრიარქოს.

ეკლესიისადმი ამგვარი პოლიტიკის პარალელურად, სახელმწიფოს არ გაუტარებია არავითარი პოლიტიკური ან სამართლებრივი ღონისძიებები სხვა რელიგიური გაერთიანებებისათვის ისტორიული ქონების დასაბრუნებლად. პირიქით, ზოგ შემთხვევაში, არადომინანტური რელიგიური ჯგუფების ისტორიული ქონებაც სახელმწიფომ საპატრიარქოს გადასცა. მაგალითად, საპატრიარქოს მისაკუთრებული აქვს შვიდი კათოლიკური ტაძარი;[36] 2017 წელს სახელმწიფომ საპატრიარქოს თბილისში მდებარე თანდოიანცის ისტორიულად სომხური ეკლესია გადასცა საკუთრების უფლებით;[37] 2019 წელს კი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ასურეთში მდებარე ევან-

[35] დეტალური ინფორმაციისთვის საქართველოში რელიგიური ქონების რესტიტუციის პრობლემის შესახებ იხილეთ TDI-ის ანგარიში „რესტიტუციის პოლიტიკა საქართველოში“, ხელმისაწვდომია – http://tdi.ge/sites/default/files/restituciis_politika_sakartveloshi.pdf

[36] იქვე, გვ. 17.

[37] იქვე, გვ. 15.

გელურ-ლუთერული ეკლესიის ნაწილი, რომელიც ამავე დროს, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლია, საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობის უფლებით გადაეცა.[38]

რესტიტუციის პოლიტიკის გატარების ნაცვლად, მთავრობამ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მეშვეობით, 2014 წელს დაიწყო ოთხი რელიგიური თემის დაფინანსება (მუსლიმური, ებრაული, კათოლიკე და სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია). სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ნათქვამია, რომ მთავრობა მზადაა ნაწილობრივ აუნაზღაუროს რელიგიურ თემებს საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალი. სავარაუდოდ, ეს ოთხი რელიგიური გაერთიანება სააგენტომ რამდენიმე მახასიათებლის საფუძველზე შეარჩია,[39] რაც სულაც არ უკავშირდება წარსულში ქონების კონფისკაციას. საბჭოთა პერიოდში გაცილებით მეტმა რელიგიურმა გაერთიანებამ დაკარგა ქონება და მათ მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან მათთვის რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი კვლავ გადაუჭრელია. იმ რელიგიურ გაერთიანებებსაც, რომლებიც სახელმწიფოსგან იღებენ აღნიშნულ დაფინანსებას, არ უბრუნდებათ წარსულში ჩამორთმეული ქონება.

3.2. ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობისას შექმნილი დაბრკოლებები

არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციები კვლავ აწყდებიან წინააღმდეგობას სალოცავების მშენებლობისას ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. ბოლო წლებში ეს პრობლემა აქტუალურია მუსლიმების, იეჰოვას მოწმეების, კათოლიკეებისა და პროტესტანტებისათვის. ხშირად, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები თუ საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები აქტიურად ეწინააღმდეგებიან უმცირესობების რელიგიური ნაგებობების მშენებლობას. ადგილობრივი თვითმმართველობა კი უმეტესად, უმრავლესობის აზრს იზიარებს და, სხვადასხვა ფორმალური საფუძვლით, უარს ეუბნება უმცირესობას მიკუთვნებულ ჯგუფებს რელიგიის თავისუფლებით სარგებლობაზე.

ამ პრობლემის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია **ბათუმში მუსლიმების მიერ მეჩეთის მშენებლობაზე შექმნილი ხელოვნური დაბრკოლებები.** 2017 წელს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდმა მიმართა ბათუმის მერიას, საკუთარ მიწის ნაკვეთზე მეჩეთის მშენებლობისათვის შესაბამისი ნებართვის მოპოვების მიზნით. თუმცა, ბათუმის მერიამ არ დააკმაყოფილა მშენებლობის ნებართვის პირველივე სტადია.

2019 წლის 30 სექტემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ მერიის უარი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე დისკრიმინაციულად და უკანონოდ მიიჩნია. თუმცა, დავამ სააპელაციო

[38] დეტალურად იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 215, ხელმისაწვდომია – https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

[39] დეტალურად იხილეთ TDI-ის ანგარიში „რელიგიის და რწმენის თავისუფლება საქართველოში", გვ. 68, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3fYqzCD

სასამართლოში გადაინაცვლა. 2020 და 2021 წელს შესაბამისად გაგრძელდა ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმის სასამართლო განხილვა. საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციაშიც დროში საკმაოდ განგრძობადი პროცესი აღმოჩნდა. 2020 წელს სააპელაციო სასამართლოში საქმის ორი სასამართლო განხილვა ჩატარდა.[40] შემდგომში სხვადასხვა მიზეზებით სხდომა რამდენჯერმე გადაიდო. თუმცა, საქმის საბოლოო განხილვა შედგა 2021 წლის 2 აპრილს. საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება 2021 წლის 13 აპრილს გამოცხადდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეფასება, რომ ბათუმის მერიის უარი ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გაცემაზე იყო უკანონო და რელიგიის ნიშნით მოსარჩელეების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას შეიცავდა. ეს არის ეროვნული სასამართლოების ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც წლების განმავლობაში მუსლიმი თემის რელიგიის თავისუფლების ხელყოფის დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობას ადასტურებს.[41]

სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ბათუმის მერია, 2017 წლიდან დღემდე, ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებისა და საკუთარი ვალდებულებების შესრულების გაჭიანურების სტრატეგიას ირჩევს. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს მუსლიმი თემის უფლებების რეალიზებას. მუსლიმების რწმენისა და რელიგიის თავისუფლების დარღვევას განგრძობითი ხასიათი აქვს. ისინი 2017 წლიდან მოყოლებული ვერ ახერხებენ ახალი მეჩეთის მშენებლობას და კვლავ ღია სივრცეში იკრიბებიან სალოცავად.[42]

[40] ბათუმის მეჩეთის საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვა გრძელდება, TDI, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3a3oLGp

[41] მეჩეთის მშენებლობაზე უარი უკანონო და დისკრიმინაციულია – სააპელაციო სასამართლო, TDI, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2SPb0oQ

[42] ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის ინტერესებს სასამართლოში ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) და სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) იცავენ

4. რელიგია და განათლება

4.1. რელიგიური ნეიტრალობის დაცვის პრობლემა საჯარო სკოლებში

2005 წელს მიღებულმა კანონმა ზოგადი განათლების შესახებ საჯარო სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად რელიგიური ნეიტრალობა და არადისკრიმინაციულობა განსაზღვრა. კანონი მიზნად ისახავს ყველა მოსწავლისათვის სეკულარული და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნას. ამის მიუხედავად, საჯარო სკოლებში რელიგიური ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი დღემდე პრობლემად რჩება. საჯარო სკოლებში ხშირია რელიგიური სიმბოლიკის არააკადემიური დანიშნულებით გამოფენის შემთხვევები. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები TDI-სთან საუბარში აცხადებენ, რომ სასწავლო დაწესებულებაში ასევე ხშირია მოსწავლეების რელიგიური ნიშნით დიფერენციაცია და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება კონკრეტული რელიგიური ჯგუფების/კონფესიების მისამართით.

2019 წლიდან არსებობს მართლმადიდებლობის შესახებ ლექციებზე მასწავლებლების დასწრების პრაქტიკაც.[43] 2019 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მსგავსი ლექციების ჩატარებისა და მათში მასწავლებლების მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია რამდენჯერმე გავრცელდა.[44] როგორც მასწავლებლების ნაწილი აცხადებდა, მათ ლექციაზე დასწრება საგანმანათლებლო რესურსცენტრებმა დაავალეს[45], ნაწილი კი აცხადებდა, რომ ისინი ლექციის თემატიკის შესახებ წინასწარ ინფორმირებული არ ყოფილან.[46]

საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით[47], 2020 წელს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციაზე სამინისტროში 4 საქმე შევიდა. როგორც სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორ-

43 TDI-ს 2019 წლის 19 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3tb3Oke

44 მაღალმთიან აჭარაში საჯარო სკოლების რელიგიური ინდოქტრინაციის შესახებ, EMC, 1 ნოემბერი 2019. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3z0lzoS

45 „პედაგოგების ნაწილის თქმით, წილხვდომილობის ლექციებზე სამინისტრომ იძულებით წაიყვანა“, On.ge, 2019, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3p434MG

46 „გორელ პედაგოგებს წილხვდომილობის შესახებ ლექცია ჩაუტარეს“, მოზაიკა – გორის სათემო რადიო, 2019, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3vFfUnh

47 საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 1 მარტის წერილი N: MES 1 21 0000172553

მაციით ირკვევა, სამინისტრომ ჩათვალა, რომ მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევების თაობაზე წერილებში მოცემული ინფორმაცია იყო ზოგადი და სკოლის მხრიდან აღწერილი შემთხვევები არ დასტურდებოდა. სამინისტროს ინფორმაციით[48], შიდა აუდიტის მიმართვის შემდეგ, პრევენციის მიზნით სკოლამ სხვადასხვა ღონისძიება დაგეგმა – მოსწავლეთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ადამიანის უფლებებთან და ტოლერანტობასთან დაკავშირებით გაკვეთილის ჩატარება, სამოქალაქო განათლების და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების კოორდინირებით საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება და სხვ. როგორც ჩანს, აღნიშნული ზომები სამინისტრომ საკმარისად მიიჩნია და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების შემდგომი მოკვლევა და მათზე დისციპლინური რეაგირება აღარ მოახდინა.

რელიგიური ნეიტრალობის სავარაუდო დარღვევას ასევე ადგილი ჰქონდა სასწავლო პროცესში „სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილების ინტეგრირებისას. 2020 წელს გავრცელებული ინფორმაციით, სკოლები მოსწავლეებს „სამშობლოსმცოდნეობის“ ონლაინ გაკვეთილებზე დასწრებას სთავაზობდნენ. გაკვეთილებზე საუბარი ძირითადად მართლმადიდებლობას შეეხებოდა[49]. სახალხო დამცველის შეფასებით, „სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილებს კონფესიური ხასიათი აქვს და აგებულია მართლმადიდებლურ რელიგიაზე, დატვირთულია დისკრიმინაციული შეხედულებებით და რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.[50]

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული საგნის შესახებ ინფორმაცია სამინისტროში წარდგენილი არ ყოფილა.[51] შესაბამისად, საგნის სწავლებაზე სამინისტრომ პასუხისმგებლობა მოიხსნა. „სამშობლოსმცოდნეობას“ არ აქვს სავალდებულო ან არჩევითი საგნის ფორმა. სამინისტრო კონკრეტულად ვერ განმარტავს, რა ფორმით ისწავლება საგანი, თუმცა აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს უფლება, მოსწავლეებს, სურვილის შემთხვევაში, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება სამინისტროსგან დამოუკიდებლად შესთავაზოს. აღსანიშნავია, რომ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში შეთავაზებული საგანიც, უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, რომელიც ერთ-ერთ მთავარ მიზნად დღევანდელ ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში ტოლერანტულად განწყობილი მოქალაქის აღზრდას ასახელებს. „სამშობლოსმცოდნეობის“ დისკრიმინაციული და კონფესიური შინაარსი, აღნიშნულ მიზნებს ვერ პასუხობს.

საჯარო სკოლაში არსებული გარემოს მსგავსად, სკოლის სახელმძღვანელოების ტექსტებიც უმეტესწილად დაწერილია ეთნიკური და რელიგიური უმრავლესობის პოზიციიდან. მისასალმებელია, რომ 2019 წლიდან განათლების სამინისტრომ, საქართველოს სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, ყველა საგნის ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესში

48 იგივე.

49 „სამშობლოთმცოდნეობა“ მოსწავლეებისთვის – ვინ ატარებს და რას ეხება საგანი, პუბლიკა, 17 დეკემბერი, 2020, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3fE11vV

50 საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 25 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3i4b92x

51 საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 1 მარტის წერილი NMES 1 21 0000172553

ადამიანის უფლებების ექსპერტებიც ჩართო. ადამიანის უფლებებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კრიტერიუმი ითვალისწინებდა სახელმძღვანელოების შინაარსის შეფასებას ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კულტურის ასახვის კუთხითაც. საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა სახელმძღვანელოების შეფასებისა და რევიზიის პროცესი აღნიშნული ექსპერტების ჩართულობით: 2020 წელს მომზადდა და რეცენზირების პროცესი გაიარა მე-8 კლასის სასკოლო სახელმძღვანელოებმა; 2021 წელს კი მიმდინარეობს მე-9 კლასის ახალი სახელმძღვანელოების განხილვა.

4.2. რელიგიის ნიშნით დისკრიმინაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე

2020 წელს დაირღვა აბიტურიენტების უფლებები, რომლებიც რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდნენ. აბიტურიენტებს, საკუთარი რწმენის გამო, არ შეეძლოთ შაბათ დღეს დანიშნულ ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მათ უარი უთხრა გამოცდის გადატანაზე.

ორმა აბიტურიენტმა, რომლებიც არიან მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის წევრები, გამოცდების ეროვნულ ცენტრს 2020 წლის 30 ივნისს მიმართეს 18 ივლისს დანიშნული გამოცდის გადატანის თხოვნით, რადგან რელიგიური მრწამსის გამო, მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ გამოცდაში შაბათ დღეს. ცენტრმა მათ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებელი უარი უთხრა. მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ იუდეველი აბიტურიენტებიც.

ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია, ასევე იუდეველი მორწმუნეები, შაბათ დღეს აღიარებენ ყოველდღიური საქმეებისაგან დასვენებისა და ღვთისმსახურების დღედ. მათი რწმენის შესაბამისად, დაუშვებელია შაბათ დღეს სეკულარულ აქტივობებში, მათ შორის, გამოცდაში მონაწილეობის მიღება. მორწმუნე ადამიანების ეს უფლება ექცევა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებულ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების სფეროში.

TDI-მ, რომელიც იცავს აბიტურიენტების ინტერესებს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით[52] 2020 წლის 15 ივლისს მიმართა. განცხადებით მოთხოვნილი იყო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დავალებოდა დაგეგმილი ერთიანი ეროვნული გამოცდის გადატანა 17 ან 19 ივლისს, ან ნებისმიერ სხვა დღეს, გარდა შაბათისა. საყურადღებოა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული გამოცდების განრიგით, ინგლისური ენის გამოცდა დანიშნული იყო სამ სხვადასხვა დღეს – კერძოდ, 17, 18 და 19 ივლისს. შესაბამისად, კონკრეტული აბიტურიენტებისთვის გამოცდის სხვა დღეს გადატანა გამოცდების ცენტრისგან დამატებით ძალისხმევას არ მოითხოვდა.

[52] TDI-ს 2020 წლის 20 ივლისის განცხადება, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2SGMFSi

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციით დაცულ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებზე და აღნიშნა[53], რომ საჯარო დაწესებულებამ არ უნდა დაუშვას უფლებით დაცულ სფეროში არამართლზომიერი ჩარევა. სასამართლომ რწმენისა და რელიგიის თავისუფლების და განათლების უფლების მნიშვნელობაზე იმსჯელა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შაბათ დღეს დანიშნულ გამოცდაზე აბიტურიენტების განაწილება, შესაძლოა განპირობებული იყოს ლეგიტიმური მიზნით, ვინაიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგის დადგენა ხდება კანონის შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრული წესით. თუმცა მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან განმცხადებელთა რწმენის, აღმსარებლობისა და განათლების უფლებებში ჩარევა, ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაშიც, არ არის გამართლებული, რადგან ჩარევა უნდა იყოს შეზღუდვის პროპორციული და აუცილებელი. შესაბამისად, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შერჩეული ღონისძიება ზღუდავს განმცხადებელთა რწმენის, აღმსარებლობისა და განათლების უფლებებს.

სასამართლომ, დროებითი განჩინებით, შეფასების და გამოცდების ეროვნულ ცენტრს აბიტურიენტებისთვის ინგლისურ ენაში 18 ივლისს დაგეგმილი გამოცდის 17 ან 19 ივლისს გადატანა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაუყოვნებლივ შესრულება დაავალა. სასამართლოს დროებითი განჩინების საფუძველზე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა აბიტურიენტებს ინგლისური ენის გამოცდა 2020 წლის 19 ივლისს დაუნიშნა.

პარალელურად, TDI-მ 2020 წლის 24 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს წარუდგინა აბიტურიენტების სარჩელი, საქმის არსებითად განსახილველად. სარჩელით აბიტურიენტების მიერ მოთხოვნილია დისკრიმინაციის დადგენა რელიგიის ნიშნით, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა უარის სადავო აქტის ბათილად ცნობის გზით და დისკრიმინაციის გამო მორალური ზიანისათვის სიმბოლური ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. საქმის განხილვა სასამართლოში არ გამართულა საანგარიშო პერიოდში.

ამასთან, 2020 წლის 29 ივლისს, TDI-ის განცხადების საფუძველზე, სახალხო დამცველმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზების პროცესში რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, განათლების სამინისტროს ზოგადი წინადადებით მიმართა.[54]

სახალხო დამცველის შეფასებით, აბიტურიენტები, რომლებიც საკუთარი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე იძულებულები იყვნენ, უარი ეთქვათ კონკრეტულ დღეს გამოცდაში მონაწილეობაზე, არათანაბარ მდგომარეობაში არიან სხვა აბიტურიენტებთან მიმართებით. სახალხო დამცველმა ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელ აქტში იმგვარი ცვლილებების განხორციელება მოითხოვა, რომელიც გამოცდების ორგანიზების პროცესში რელიგიურ საჭიროებებს გაითვალისწინებს.

[53] 2020 წლის 16 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დროებითი განჩინება, საქმე N3781793

[54] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 11 აგვისტოს ზოგადი წინადადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gdZqO7

5. რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულები და მათზე რეაგირება

წინა წლების მსგავსად, რელიგიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, იეჰოვას მოწმეების უფლებების დარღვევის, დევნისა და ძალადობის ფაქტებზე, გამოძიების გაჭიანურების, პროკურატურის მიერ პირის დაზარალებულად ცნობისა და ბრალის წარდგენის პრობლემა.[55]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წელს სამინისტრომ რელიგიური ნიშნით მოტივირებულ 9 საქმეზე დაიწყო სისხლისამართლებრივი გამოძიება.[56] საქართველოს პროკურატურამ კი 4 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.[57] დეტალურად იხილეთ ანგარიშის **დანართი – რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულებისა და გამოძიების სტატისტიკა.**

5.1. იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობა და დევნა

როგორც სტატისტიკა ცხადყოფს, ზოგადად, ყველაზე ხშირად რელიგიური შეუწყნარებლობის მსხვერპლი იეჰოვას მოწმეები ხდებიან. რელიგიური თემის წინააღმდეგ ჩადენილ სამართალდარღვევებს შორის ხშირია ფიზიკური ძალადობა, რელიგიური რიტუალების შესრულებისათვის ხელის შეშლა, საკულტო ნაგებობების, ქონებისა და რელიგიური ლიტერატურის დაზიანება. წინა წლებთან შედარებით, 2020 წელს იეჰოვას მოწმეების მიმართ ამგვარი დანაშაულების რიცხვი დაბალი იყო,[58] რაც განპირობებულია იმით, რომ კოვიდ 19-ის პანდემიის გავრცელებისთანავე იეჰოვას მოწმეებმა შეაჩერეს შეკრებები და აქტიური საჯარო საქმიანობა. როგორც წესი, ისინი

[55] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 217, ხელმისაწვდომია – https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

[56] 2021 წლის 1 თებერვლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი NMIA 1 21 00230332

[57] 2021 წლის 2 თებერვლის საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი N13/5526

[58] 2020 წელს, იეჰოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის ინფორმაციით, ადგილი ჰქონდა რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულის 8 ფაქტს. შედარებისთვის, 2019 წელს იეჰოვას მოწმეების დევნის 24 შემთხვევა გამოვლინდა, 2018 წელს – 20. დეტალურად, იეჰოვას მოწმეთა დევნისა და დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირების შესახებ იხილეთ TDI-ს ანგარიში, გვ. 118, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/34BZqjS

ძალადობისა და დევნის მსხვერპლი სწორედ საჯარო სივრცეში, რელიგიური საქმიანობის განხორციელების დროს ხდებიან.

5.2. მუსლიმების მიმართ ძალადობა და დევნა

2012 წლიდან გახშირდა მუსლიმების დევნისა და მათი უფლებების დარღვევის ფაქტები. 2012-2016 წლებში საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები მუსლიმების წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით ძალადობის და უფლებების დარღვევის რვა მასშტაბური შემთხვევა გამოვლინდა. აქედან, უმეტეს შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია, ზოგ საქმეზე კი გამოძიება ამ დრომდე უშედეგოდ გრძელდება. სახელმწიფოს მხრიდან გულგრილობამ და დანაშაულების ეფექტიან გამოძიებაზე უარის თქმამ, წაახალისა მუსლიმების მიმართ დევნა და ამგვარი დანაშაულები განგრძობადი და განმეორებადი გახადა. შედეგად, 2021 წლის იანვარში სოფელ ბუკნარში მუსლიმების დევნის ახალი კერა გაჩნდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობს. მუსლიმ მოსახლეობას სოფელში საკუთარი სამლოცველო არ ჰქონდა და მათ პარასკევის ლოცვის შესასრულებლად და სადღესასწაულო დღეებში სხვა სოფლებში წასვლა უხდებოდათ. 2020 წელს ადგილობრივმა მუსლიმებმა კერძო სახლი შეიძინეს და სამლოცველო მოაწყვეს, რაც ადგილობრივი მართლმადიდებლების უკმაყოფილება მოჰყვა. სამლოცველოს კერძო სახლის ფორმა აქვს. მუსლიმებმა უარი თქვეს სამლოცველოს იერსახის მეჩეთისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკით მოწყობაზე, მათი თქმით, ადგილობრივი მართლმადიდებლების გაღიზიანების თავიდან ასარიდებლად.

ვითარება 2020 წლის დეკემბერში დაიძაბა, როდესაც ადგილობრივებმა, მართლმადიდებლობის სახელით, მუსლიმების სამლოცველოს წინააღმდეგ ღიად დაიწყეს აგრესიის გამოხატვა. დაძაბულობა 2021 წლის იანვარშიც გაგრძელდა და გამწვავდა. 10-13 იანვრის პერიოდში მოსახლეობას შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების რამდენიმე ფაქტი მოხდა.[59]

ბუკნარში მომხდარ ერთ-ერთ ძალადობრივ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაკავებულია ერთი პირი, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.[60]

საყურადღებოა, რომ კონფლიქტის გამწვავების შემდეგ, პროცესის დეესკალაციის მიზნით, გაიმართა მხარეებს შორის მოლაპარაკებები, რომელშიც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და რელიგიური პირებიც ჩაერთვნენ. საბოლოოდ, მხარეებმა განაცხადეს,

[59] სოფელ ბუკნარში განვითარებული მოვლენების აღწერა იხილეთ სოციალური სამართლიანობის ცენტრის დოკუმენტში, 9 იანვარი 2021, ხელმისაწვდომია – https://socialjustice.org.ge/ka/products/buknari-kidev-erti-religiuri-konfliktis-adgili

[60] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 12 იანვრის განცხადება, ხელმისაწვდომია – https://police.ge/ge/guriis-politsiam-chokhatauris-munitsipalitetshi-momkhdar-intsidenttan-dakavshirebit-1-piri-daakava/14274

რომ შერიგდნენ და კონფლიქტი ამოწურულია. TDI მიიჩნევს, რომ კონფლიქტის დეესკალაციაზე მიმართული ღონისძიებების გარდა, სახელმწიფომ უპირობოდ უნდა დაიცვას მოქალაქეების რწმენისა და რელიგიის თავისუფლება და მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება რელიგიური ნიშნით დევნის ყოველ ფაქტზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იარსებებს რელიგიური ნიშნით ადამიანების დევნის რისკი და წახალისებული იქნება ამგვარი ძალადობა.

სახალხო დამცველის შეფასებით, ბუკნარის შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ნაკლებად არის მიმართული სისტემურ პრევენციაზე და ძირითადად, მხოლოდ ინდივიდუალური შემთხვევების მოგვარებისკენ მიმართული ერთჯერადი მიდგომებით შემოიფარგლება.[61]

5.3. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხის საქმე

სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხის, ვაგიფ აქპეროვის საქმე ხელისუფლების არასეკულარული და დისკრიმინაციული რელიგიური პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია.

2021 წლის 21 მარტს ტელეკომპანია მთავარის გადაცემა Post-Factum-ში გავრცელებული ინფორმაციით,[62] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი თანამშრომლის, ივანე გულაშვილის ინტერვიუს მიხედვით (ტელეკომპანიის ცნობით, ინტერვიუ ჩაწერილია 2019 წლის 24 ნოემბერს), მისი მონაწილეობით შეიხ ვაგიფ აქპეროვის კომპიუტერზე ვირუსული ფაილი ფარულად ჩაიტვირთა მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ფარულად მოპოვების მიზნით (აუდიო-ვიდეო თვალთვალი). გულაშვილის განცხადებით, მან ეს ოპერატიული დავალება შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ) ყოფილი მაღალჩინოსნისგან, ნიკოლოზ შარაძისგან მიიღო, რომელიც ამჟამად შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელია.

2021 წლის 24 მარტს ყოფილმა შეიხმა ვაგიფ აქპეროვმა და TDI-მ კიდევ ერთხელ მიმართეს განცხადებით საქართველოს პროკურატურას ვაგიფ აქპეროვის დაზარალებულად ცნობის და მისი თანამდებობიდან იძულებით გადაყენების ფაქტის დაუყოვნებლივ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოძიების მოთხოვნით. განცხადებებს რეაგირება ამ დრომდე არ მოჰყოლია.

ვაგიფ აქპეროვი 1996 წლიდან მუსლიმი სასულიერო პირია. იგი მონაწილეობდა ინტერრელიგიური დიალოგის სხვადასხვა ფორმატში, ასევე სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობით გამოირჩევა. 2011 წლიდან ვაგიფ აქპეროვს ეკავა „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“[63] შეიხის (შიიტური მიმდინარეობის უმაღლესი სასულიერო პირი) თანამდებობა და მსახურებდა თბი-

[61] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 217 https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf

[62] სუს-ის საიდუმლო ფაილები, 2021 წლის 21 მარტი, Post Factum https://mtavari.tv/post-factum/36779

[63] „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო“ არის რელიგიური გაერთიანება, რომელიც 2011 წელს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ამოქმედებამდე არსებობდა როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო 2011 წლის 15 ივლისიდან მიიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.

ლისის ცენტრალურ, „ჯუმა“ მეჩეთში. 2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, სახელმწიფომ მასზე ზეწოლა, ხოლო მუსლიმთა სამმართველოს საქმიანობაში უხეში ჩარევა დაიწყო.

2013 წლის 27 დეკემბერს იგი დაიბარეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ შენობაში (ე.წ. მოდულის შენობა), სადაც, აქპეროვის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მას პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით და რეპუტაციის შელახვით დაემუქრნენ, მიანიშნებდნენ ოჯახის წევრებისთვის დაბრკოლებების შექმნის შესაძლებლობაზე. მისგან მოითხოვდნენ დაეწერა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება, შეეწყვიტა მეჩეთში სიარული და არ ჰქონოდა ურთიერთობა უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და მედიასთან. ზეწოლის შემდეგ, აქპეროვი იძულებული გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კარნახით, ე.წ. მოდულის შენობაშივე დაეწერა განცხადება შეიხის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

რელიგიური ლიდერის თქმით, აღნიშნული განცხადება 2014 წლის 9 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროდან პირდაპირ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ მმართველობითი ორგანოს, რელიგიური საბჭოს კრებაზე აღმოჩნდა და შეიხს საბჭოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილება შეუწყდა. ვაგიფ აქპეროვს უფლებამოსილება 2014 წლის 9 იანვარს შეუწყდა, რის შემდეგაც მას არაერთხელ დაუკავშირდნენ უცნობი პირები (მისი ვარაუდით, შსს-ის ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები), რომლებიც სთავაზობდნენ შეხვედრას და დუმილის სანაცვლოდ მაღალანაზღაურებად სამსახურს სხვადასხვა დაწესებულებაში (მათ შორის, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა და გარდაბნის თბოელექტროსადგურში), რაზეც ყოფილმა შეიხმა უარი განაცხადა.

2016 წლის 27 აპრილს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ვაგიფ აქპეროვის მიმართვის შემდეგ[64], საქართველოს პროკურატურამ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მიუხედავად ამისა, ხუთი წლის განმავლობაში, გამოძიების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, არ გატარებულა შესაბამისი ღონისძიებები და სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა.

2020 წლის 4 დეკემბერს TDI-მ დამატებით მიმართა საქართველოს პროკურატურას წერილით[65], რომელშიც ვაგიფ აქპეროვი ასახელებდა იმ პირის ვინაობას, ვინც 2013 წელს მოდულის შენობაში მასზე ახორციელებდა ზეწოლას, თანამდებობიდან გადადგომის იძულების მიზნით. აღნიშნული პირი ვაჟა მაზმიშვილია.[66] პროკურატურას არც ამ შემთხვევაში უცნობებია, რა საგამოძიებო მოქმედებები გატარდა აღნიშნულ პირთან მიმართებით.

ვაგიფ აქპეროვი ამ დრომდე არ არის ცნობილი დაზარალებულად, არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ, ხოლო გამოძიება კვლავ უშედეგოდ გრძელდება.

[64] რუსთავი 2: ვაგიფ აქპეროვის საქმე, 2016, ხელმისაწვდომია http://www.tdi.ge/ge/multimedia/rustavi-2-vagip-akperovis-sakme

[65] TDI-ის 2020 წლის 4 დეკემბრის წერილი N723/12/2020

[66] იხ. სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება „რელიგია სუს-ის კონტროლქვეშ“, 28 ნოემბერი 2020, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3fVrS5s

6. საეკლესიო ანტისემიტიზმი

2020 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების მხრიდან გამოვლინდა ანტისემიტიზმის არაერთი შემთხვევა. მნიშვნელოვანია, რომ ანტისემიტური განცხადებები არც საქართველოს საპატრიარქოს და არც ხელისუფლებას კრიტიკულად არ შეუფასებიათ და არ დაუგმიათ[67]. აღნიშნულ განცხადებებს მოჰყვა გამოხმაურება დიპლომატებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. საეკლესიო ანტისემიტიზმის შესახებ საუბარია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიშებშიც საქართველოს შესახებ.[68]

2020 წლის 20 დეკემბერს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, **საქართველოს საპატრიარქოს განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა იოანე გამრეკელმა** ბაგრატის ტაძარში ქადაგებისას ანტისემიტური განცხადებები გააკეთა.[69] მისი ქადაგება იმეორებს ებრაელების შესახებ გავრცელებულ საშიშ რელიგიურ სტერეოტიპს, რომლის თანახმადაც, ებრაელი ერი კოლექტიურადაა პასუხისმგებელი ქრისტეს ჯვარცმის გამო და ქრისტიანთა მდევნელად წარმოჩნდება, რაც საუკუნეების განმავლობაში, ინსტიტუციური ანტისემიტიზმის ერთ-ერთი ყველაზე მყარი საფუძველი იყო.

მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა ქადაგებისას მოიყვანა მაგალითი ამბროსი მედიოლანელის ცხოვრების ისტორიიდან, სადაც მოთხრობილია ამბავი, რომ ქრისტიანებსა და იუდეურ თემს შორის დაპირისპირებისას, რიცხობრივი უპირატესობის წყალობით, ქრისტიანებმა სძლიეს ებრაელებს და სინაგოგა დაანგრიეს. მოგვიანებით, კი სინაგოგის აღდგენაზე ქრისტიანებმა მათ ფაქტობრივად უარი უთხრეს, რადგან მმართველის თქმით, ებრაელები საუკუნეების მანძილზე ქრისტიანებს აწამებდნენ, ამიტომ ჯერ ამის ფასი უნდა გადაეხადათ. ამ მაგალითის საფუძველზე,

[67] TDI-ის მიერ მომზადებული ქრონოლოგიური მიმოხილვა: http://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebadi-inpormacia

[68] 2020 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, MARCH 30, 2021 და 2020 Country Report on International Religious Freedom: Georgia, 12 May 2021

[69] მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის 2020 წლის 20 დეკემბრის ქადაგება, ხელმისაწვდომია – https://www.facebook.com/watch/?v=387021805899586

მიტროპოლიტმა ებრაელთა სალოცავის დანგრევა გაამართლა, შემდეგ კი „ურწმუნო მოდგმის“ შესახებ შეფასება იმ ადამიანებზე განაზოგადა, რომლებიც ზოგადად საპატრიარქოს აკრიტიკებენ: „აი, ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება, აქ, ეს არ არის – ეთნიკური საზღვრებით არ განისაზღვრება, ეს არის ურწმუნო მოდგმის ბრძოლა – ეკლესიის წინააღმდეგ“. მიტროპოლიტის ქადაგებას TDI გამოეხმაურა და მოუწოდა საპატრიარქოს, დაეგმო მაღალი რანგის სასულიერო პირთა ანტისემიტური განცხადებები[70].

2020 წლის 30 დეკემბერს, ქუთაის-გაენათის ეპარქიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე, გამოქვეყნდა მიტროპოლიტის საპასუხო წერილი. იოანე გამრეკელმა აღნიშნა, რომ ქადაგება სინამდვილეში არ იყო ანტისემიტური და მას ეთნიკური ნიშნით არ გამოურჩევია ებრაელები. იმის ნაცვლად, რომ საკუთარი პოზიცია მას კრიტიკულად გადაეაზრებინა, მიტროპოლიტმა, სრულიად უსაფუძვლოდ ეკლესიაზე თავდასხმაში დაადანაშაულა უფლებადამცველები და კონკრეტული ადამიანები[71]. 2021 წლის პირველი იანვრის საჯარო წერილში კი, მიტროპოლიტმა უშუალოდ TDI-ზე განაცხადა, რომ ორგანიზაცია ცდილობს „შფოთი შემოიტანოს საქართველოს ეკლესიასა და ებრაელ ერს შორის საუკუნეების მანძილზე არსებულ კეთილ ურთიერთობებში“. მისი თქმით, „ქადაგება რამდენიმე ისტორიული ფაქტის გარდა შეეხო არა ებრაულ თემს, არამედ თანამედროვე საქართველოში მოქმედ TDI-ის ფორმატის ორგანიზაციებს“.[72]

მიტროპოლიტ იოანე გამრეკელს მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს ელჩმა ისრაელში, ლაშა ჟვანიამ. ელჩმა საჯაროდ დაწერა[73], რომ მიტროპოლიტის ქადაგების ანტისემიტიზმად შეფასება არის სასულიერო პირისა და ეკლესიის მიმართ ცილისწამება.

მიტროპოლიტის ქადაგებას მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა სასულიერო პირების ანტისემიტური განცხადებებიც მოჰყვა[74]. მაგალითად, დეკანოზმა ილია კარკაძემ ქადაგებაში ებრაელების „გავლენებზე“ გაამახვილა ყურადღება და სტალინის რეპრესიები გაამართლა. მან აღნიშნა, რომ ებრაელებმა სტალინის მოტყუება ვერ მოახერხეს, რადგან „დიდი გენია“ იყო, დღეს კი საქართველო და რუსეთიც ამ ძალების მიერ დაპყრობილია „ოფშორული ფულით“. ყველაფრის სათავეში კი ადვილი მისახვედრია „რა ძალები არიან“ – „ამეების ხელშია დღეს ბერკეტები ფინანსური“. 2021 წლის 8 იანვარს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, ასევე, ქუთაისი-გაენათის ეპარქიამ, გამოაქვეყნეს მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის განცხადება სასულიერო პირების ანტისემიტური ქადაგებების შესახებ, სადაც დაგმობილი იყო დეკანოზ ილია კარკაძის ქადაგებაში ანტისემიტური რიტორიკა, თუმცა, მიტროპოლიტ იოანეს არ შეუფასებია საკუთარი ქადაგების პრობლემურობა და ბოდიში

[70] იხ. TDI-ს 2020 წლის 28 დეკემბრის განცხადება: http://tdi.ge/ge/statement/tdi-gmobs-saeklesio-antisemitizms-0

[71] მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის საპასუხო წერილი, 30 დეკემბერი, 2020 https://www.facebook.com/672857109589231/posts/1593795830828683/?d=n

[72] მიტროპოლიტ იოანე გამრეკელის 2021 წლის 1 იანვრის განცხადება https://www.facebook.com/672857109589231/posts/1594989677375965/?d=n

[73] ელჩ ლაშა ჟვანიას 2020 წლის 28 დეკემბრის განცხადება: https://www.facebook.com/ZhvaniaL/posts/1941813032639497

[74] დეკანოზმა ილია კარკაძემ იოანე გამრეკელის დასაცავად წარმოთქმულ ქადაგებაში ასევე გააკეთა ანტისემიტური განცხადებები, იხ. https://bit.ly/2TvsPKb

არ მოუხდია ანტისემიტური შინაარსის განცხადებებისთვის[75]. ანტისემიტური გამოსვლები და ქადაგებები ჰქონდათ სხვა მართლმადიდებელ სასულიერო პირებსაც და ამ ტენდენციამ საგანგაშო ხასიათი შეიძინა[76].

საქართველოს საპატრიარქოსგან განსხვავებით, საეკლესიო ანტისემიტიზმს მკაცრი შეფასებები მოჰყვა დიპლომატებისა და ებრაული სათემო ორგანიზაციების მხრიდან[77]. მაგალითად, საქართველოში ისრაელის ელჩმა რან გიდორმა სამი ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა. მან აღნიშნა, რომ ქადაგება „სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა და ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით შემაშფოთებელია"; მიუთითა, „რასისტული, ანტისემიტური და არატოლერანტული გზავნილების გავრცელების სამწუხარო ფაქტზე", და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, „რომ მკაფიოდ და ძლიერად გაისმას მისი ხმა და დაგმოს სიძულვილით სავსე ანტისემიტური გამოსვლები"[78].

[75] TDI მიტროპოლიტის მიერ ანტისემიტიზმის აღიარების შესახებ, 08.01.21, http://tdi.ge/ge/statement/tdi-mitropolitis-mier-antisemitizmis-agiarebis-shesaxeb

[76] იხ. ხონისა და სამტრედიის ეპისკოპოს საბას (გიგიბერია) 08.02.2021 ქადაგების შეფასება, http://tdi.ge/ge/statement/gancxadeba-saeklesio-antisemitizmis-morigi-paktis-shesaxeb

[77] იხ. ებრაული ორგანიზაცია „ისრაელის სახლის" 2021 წლის 3 იანვრის განცხადება https://www.facebook.com/itsikmoshe/posts/3866954850021420

[78] ისრაელის ელჩის პირველი განცხადება, 04.01.2021, https://www.facebook.com/IsraelinGeorgia/posts/3573825869350846 მეორე განცხადება, 04.01.2021,https://www.facebook.com/IsraelinGeorgia/photos/a.199692306764236/3573039302762836/?type=3; მესამე განცხადება, 08.01.2021, https://www.facebook.com/IsraelinGeorgia/photos/a.199692306764236/3583695425030557/

7. სიძულვილის ენა, ქსენოფობია და დისკრიმინაცია

2020 წელს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ეთნიკური აზერბაიჯანელების მიმართ სიძულვილის ენა, ქსენოფობია და დისკრიმინაციული რიტორიკა. მას შემდეგ, რაც 2020 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობამ მარნეული და ბოლნისი საკარანტინო ზონად გამოაცხადა და რეგიონში კორონავირუსის შემთხვევები დადასტურდა, სოციალური ქსელი მოიცვა სიძულვილის ენამ და, მათ შორის, საჯარო პირების მხრიდან არაერთი დისკრიმინაციული განცხადება გავრცელდა.[79]

მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ მარნეულის სოფლის მაცხოვრებლები უნდა „ჩაკეტონ და ამოხოცონ", რასაც თან ერთვოდა გინება.[80]

აღსანიშნავია, ასევე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის განცხადება,[81] რომლისთვისაც მოგვიანებით ბოდიში მოიხადა. გამყრელიძის თქმით, მისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქვემო-ქართლის რეგიონში ადგილობრივი მოლა და მუფთი „ცუდ როლს თამაშობდნენ" საკარანტინო ზონაში.

პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი" აქტიურად იყენებდა წინასაარჩევნოდ ქსენოფობიურ და თურქოფობიურ რიტორიკას და აღვივებდა რელიგიურ-ეთნიკური ნიშნით შუღლს.[82] ქსენოფობიური იყო პატრიოტთა ალიანსის წინასაარჩევნო ვიდეო რეკლამები. ამავე პერიოდში გავრცელდა ირმა ინაშვილის განცხადება[83], რომ აჭარაში თურქეთის მხრიდან ეკონომიკური და იდეოლოგიური ექსპანსია კიდევ უფრო გაძლიერდა, ამიტომ, უნდა დავიცვათ აჭარა და საქართველო. წინასაარჩევნო პერიოდში პატრიოტთა ალიანსის დაკვეთით აჭარაში, საქართველო-

79 სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას" განცხადება: http://tdi.ge/ge/statement/samokalako-platporma-ara-pobias-gancxadeba-etnikurad-azerbaijaneli-mokalakeebis-mimart

80 2020 წლის 20 მაისის სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას" განცხადება, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/34yjkw0

81 2020 წლის 2 მაისის განცხადება, ტაბულა. http://www.tabula.ge/ge/story/170552-gamkrelidze-mushevanze-mogvces-informacia-titqos-mati-mola-da-mufti-tamashobs-cud-rols

82 2020 წლის 3 სექტემბრის სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას" განცხადება, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3uBVVUZ

83 2020 წლის 29 აგვისტოს განცხადება. საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3c7PQtg

თურქეთის საზღვართან ახლოს, განთავსდა ბანერი[84] წარწერით: „დაიცავი აჭარა! დაიცავი შენი წილი საქართველო!“. ბანერზე გამოსახული იყო საქართველოს რუკა, სადაც აჭარა ოკუპირებულ ტერიტორიად იყო მონიშნული.

ქართველი აზერბაიჯანელების მიმართ ქსენოფობიას და შუღლის გაღვივებას ხელს უწყობდნენ მართლმადიდებელი სასულიერო პირებიც, რაც მკაფიოდ გამოჩნდა დავით გარეჯისა და ნარიმან ნარიმანოვის ძეგლთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებში.

2020 წლის 24 მაისს, საკვირაო ქადაგებაში მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა გიორგი ჯამდელიანმა მარნეულის მერს ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის რეაბილიტაციის გამო ულტიმატუმი წაუყენა, მისი აღება მოსთხოვა და მოგვიანებით შოვინისტური განცხადებები გააკეთა. ეპისკოპოსმა ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შეხვედრისას უთხრა, რომ ისინი ქართველების მიწა-წყალზე ცხოვრობენ და ვინც ქვეყნის სადარაჯოზე იდგება – „ღმერთმა შეარგოს ქართული მიწა“, ხოლო ვინც არა – „არამი იყოს ყველასთვის“[85]. ჯამდელიანის განცხადებებს შეუერთდნენ „ქართული მარშის“ წევრები, რომლებიც მიზანმიმართულ ანტიაზერბაიჯანულ და ქსენოფობიურ კამპანიას აწარმოებდნენ თვეების განმავლობაში.

2020 წლის 30 მაისს, ამ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა რასობრივი დისკრიმინაციის მუხლით გამოძიება დაიწყო, თუმცა, გამოძიების მიზანი საზოგადოებისთვის გასაგები და ნათელი არ ყოფილა. უწყება აქტიურად იბარებდა გამოკითხვაზე მუსლიმ სასულიერო ლიდერს, შეიხ მირტაგი ასადოვს და ქვემო ქართლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ აქტივისტებს[86]. იმის გამო, რომ ბუნდოვანი იყო გამოძიების მიზანი, გაჩნდა გონივრული ვარაუდი, რომ აღნიშნული სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებზე ზეწოლას ემსახურებოდა.

2020 წლის 16 ივლისს ეპისკოპოსმა ჯამდელიანმა, პრიმაკოვის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ და ქართულ მარშთან დაკავშირებულმა სხვა ლიდერებმა მარნეულში ძეგლის აღების მოთხოვნით ისევ გამართეს აქცია[87].

მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი ეპარქიის მხრიდან ქვემო ქართლში რელიგიური და ეთნიკური შუღლის გაღვივების მცდელობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. მაგალითად, 2021 წლის 21 იანვარს მედიაში გავრცელებული ინფორმაციით,[88] მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ქესალოში ეთნიკურად აზერბაიჯანელ ადგილობრივ მოსახლეობას მართლმადიდებელი სასულიერო პირები სასოფლო-სამეურნეო მიწებით სარგებლობისა და მათი დამუშავების

[84] „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო ბანერი. 2020 წლის 29 აგვისტო, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2RfVRwI

[85] „ბოლშევიკის ძეგლი მარნეულში – ვინ არის აქ დირექტორი“, რადიო თავისუფლება, 26.05.2020. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3p2nQMR

[86] „რასობრივი დისკრიმინაციისა და ეთნიკური შუღლის გაღვივების საქმე – რას და როგორ იძიებს სუს-ი“. 2020 წლის 16 ივნისი, ტაბულა. ხელმისაწვდომია – https://bit.ly/34BX0BC

[87] „აქცია მარნეულში ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის წინააღმდეგ“, ნეტგაზეთი, 16.07.2020. ხელმისაწვდომია – https://netgazeti.ge/news/468188/

[88] რადიო მარნეული, 2021 წლის 21 იანვარი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3fCfS9R

უფლებას არ აძლევდნენ. ქესალოელებს ჯერ ადგილობრივი მართლმადიდებელი სასულიერო პირები, შემდეგ კი მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი, გიორგი ჯამდელიანი დაუპირისპირდნენ. ჯამდელიანმა ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობას განუცხადა: „სანამ შენი ბაბუა იქნებოდა, ჩემი მამა-პაპა იყო აქ, ამ მიწა წყალზე". ეპარქიის პოზიციით, სწორედ მათ აქვთ აღნიშნული მიწების განკარგვის უფლება.[89] უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მეურნეობა და სოფლის მიმდებარედ არსებული მიწების დამუშავება მთავარი საარსებო წყაროა. ეთნიკური აზერბაიჯანელების თქმით,[90] ხელისუფლების მხრიდან ისინი ამჩნევენ არათანაბარი მოპყრობისა და მართლმადიდებელი სასულიერო პირებისადმი მიკერძოების ნიშნებს.

პარალელურად, 2021 წლის 27 იანვარს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კუშჩუსთან, გაგის ციხეზე მართლმადიდებლებმა, ეპისკოპოს ჯამდელიანის ხელმძღვანელობითა და „ქართული მარშის" მონაწილეობით, ჯვარი აღმართეს.[91] ჯამდელიანის თქმით, სოფელ კუშჩუსთან ჯვარი და საქართველოს სახელმწიფო დროშა გაურკვეველ ვითარებაში რამდენიმე დღით ადრე დაიკარგა. ადგილობრივმა მუსლიმმა მოსახლეობამ და სასულიერო პირებმა დაგმეს ჯვრისა და დროშის მოხსნის ფაქტი, და აღნიშნეს, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელები პატივს სცემენ რელიგიურ და ნაციონალურ სიმბოლიკას და სავარაუდოდ, ადგილი აქვს პროვოკაციას.[92]

მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი და ქსენოფობიური, რადიკალური ძალადობრივი ჯგუფები შეთანხმებულად აწარმოებდნენ კამპანიას დავით გარეჯის საკითხზეც. პრორუსული ჯგუფები საფრთხეებისა და ოკუპაციის კონტექსტში რუსეთთან ერთად აზერბაიჯანსაც განიხილავდნენ[93]. 2021 წელს კი, მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობრივმა ქმედებებმა და ჟურნალისტებზე თავდასხმამ საგანგაშო ხასიათი მიიღო. მაგალითად, 4 მაისს, დავით გარეჯში ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სასულიერო პირები თავს დაესხნენ კარტოგრაფ ივერი მელაშვილს, „მთავარი არხის" ჟურნალისტებს და მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ[94].

კოვიდ პანდემიის პერიოდში ნათლად გამოჩნდა საზოგადოებაში არსებული ქსენოფობიური განწყობები ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და ზოგადად, უმცირესობების მიმართ. სიძულვილის ენა ისმოდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების, მათ შორის საჯარო პირების, პოლიტიკოსებისა და მართლმადიდებელი სასულიერო პირების მხრიდან. ცალკე უნდა აღინიშნოს ძალადობრივ, რადიკალურ ჯგუფებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობის პრობლემა. აღნიშნული, ძირითადად პრორუსული ჯგუფები, რომლებიც აღვივებენ ეთნო-რელიგიურ შუღლს და თავს ესხმიან თანამოქალაქეებს, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირების გარეშე რჩებიან. მათ მხარს უჭერს მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილი, რომლებიც კიდევ უფრო მეტად აქეზებენ საზოგადოებაში შეუწყნარებლობასა და ქსენოფობიას.

89 ტაბულა, 2021 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2SMCSKB

90 რადიო მარნეული, 2021 წლის 23 იანვარი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3fDX8qP

91 „გაგის ციხეზე ახალი ჯვარი აღმართეს", მთავარი არხი, 2021 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია – https://mtavari.tv/news/30319-gagis-tsikheze-akhali-jvari-aghmartes

92 მთავარი არხი, 2021 წლის 27 იანვარი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3yTmJn1

93 წინასაარჩევნო მონიტორინგი 2020, მედიის განვითარების ფონდი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3uEyt9J

94 „თავდასხმა „მთავარ არხსა" და ივერი მელაშვილზე – ახალი დეტალები", 04.04.2021, მთავარი არხი, ხელმისაწვდომია – https://bit.ly/3c9UCGp

დანართი: რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების 2020 წლის სტატისტიკა

მისასალმებელია, რომ 2020 წლიდან, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, უზენაესი სასამართლოს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ერთიანი სტატისტიკის წარმოება დაიწყო. პირველ ეტაპზე, საპილოტე რეჟიმში, გამოქვეყნდა 2020 წლის ბოლო სამი თვის (ოქტომბერი-დეკემბერი) სტატისტიკური მონაცემები.[95]

რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების ანალიზის მიზნით, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია. მიღებული ინფორმაცია ასახავს რელიგიური ნიშნით ჩადენილ რამდენ დანაშაულზე წარმოებდა გამოძიება შესაბამის უწყებაში და რამდენი პირის მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა 2020 წელს. ასევე, რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის რამდენი საქმე განიხილეს სასამართლოებმა.

► შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[96], სისხლის სამართლის სტატისტიკა გამოძიების დაწყების მაჩვენებლებს განიხილავს სტატიკურად, მხოლოდ პირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში, შემდგომი ცვლილებების დინამიურად გათვალისწინების გარეშე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციით,[97] 2020 წლის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ მონიტორინგი განხორციელდა 23 სისხლის სამართლის საქმეზე, რომლებშიც იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის შესაძლო რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.

---

95 სტატისტიკის ერთიანი ანგარიში (სამი თვის მონაცემები) ხელმისაწვდომია – https://bit.ly/2SOU6GX

96 საქართველოს შინაგან სამინისტროს 2021 წლის 11 თებერვლის წერილი N MIA 8 21 00331085;

97 საქართველოს შინაგან სამინისტროს 2021 წლის 1 თებერვლის წერილი N MIA 1 21 00230332;

სამინისტროს ინფორმაციით, 2020 წელს გამოძიება დაიწყო 9 საქმეზე:

- სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) – 5 საქმეზე;
- სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი (დევნა აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო) – 4 საქმეზე.

► გენერალური პროკურატურა

პროკურატურის ინფორმაციით,[98] 2020 წელს რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით (ოჯახში ძალადობა) – 1 პირის მიმართ;
- სსკ-ის 126[1] და 11[1]-151-ე მუხლებით (ოჯახური დანაშაული – ძალადობა და მუქარა) – 1 პირის მიმართ;
- სსკ-ის 155-ე მუხლით (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) – 1 პირის მიმართ;
- სსკ-ის 156-ე მუხლით (დევნა აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო) – 1 პირის მიმართ.

2020 წელს, რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა ჯამში 10 პირი, ამათგან 3 იურიდიული პირია, ხოლო 7 ფიზიკური პირი.

► საქართველოს საერთო სასამართლოები

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მოწოდებული ინფორმაციით,[99] 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში,

სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების მიხედვით:

- საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში განსახილველად შევიდა 1 საქმე;
- ასევე, გაგრძელდა წინა პერიოდში დაწყებულ 1 საქმეზე წარმოება;
- სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში აღნიშნული მუხლით არცერთი საქმე არ შესულა;

სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის (დევნა რელიგიისა და რწმენის გამო) საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების მიხედვით:

- საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში განსახილველად შევიდა 2 საქმე, აქედან 1 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 1 საქმე შეწყდა ბრალდებულის შეურაცხადობის საფუძველზე;

---

[98] სტატისტიკური მონაცემები დაჯამებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 2 თებერვლის წერილისა №13/5226 და საქსტატის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე.

[99] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 თებერვლის წერილი N3-22-21;

- ამავე პერიოდში განხილვაში უკვე იყო 2 საქმე, რომლებზეც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი;
- საქართველოს სააპელაციო სასამართლოებში სააპელაციო საჩივრის საფუძველზე შევიდა 2 საქმე, ორივე საქმეზე განაჩენი დატოვებულია უცვლელად;
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის საფუძველზე შევიდა ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სასამართლომ დაუშვებლად ცნო. ხოლო განხილვაში მანამდე არცერთი საქმე არ ყოფილა.

სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლის (პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა) საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების მიხედვით საქართველოს საერთო სასამართლოებში არცერთ საქმე არ შესულა და არც განხილვაში ყოფილა;

სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება: სასამართლოს მიერ გამოყენებული იყო ერთ საქმეზე, რომელიც რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ოჯახში ძალადობის დანაშაულს შეეხებოდა.